**Synora Digital** gestaltet und entwickelt performante digitale Auftritte. Wir erschaffen Websites, Content und digitale Kampagnen, die leicht zu nutzen, leicht zu finden und perfekt auf Ihre Marke abgestimmt sind – von Webentwicklung und Suchmaschinenoptimierung über Content-Strategie bis hin zu Social-Media-Management. Maßgeschneidert, um Organisationen online wachsen zu lassen.

**Synora Enterprise** unterstützt beim Aufbau nachhaltiger digitaler Kompetenzen. Wir arbeiten mit Universitäten und Unternehmen in den Bereichen SAP, Workforce Development und Transformationsprogrammen, die Talente auf moderne Enterprise-Technologie-Karrieren vorbereiten und lokale Ökosysteme sowie globale Business-Communities stärken.

**Synora Labs** verwandelt KI in einen praktischen Geschäftswert. Wir konzentrieren uns auf echte Anwendungsfälle – Automatisierung, datenbasierte Entscheidungsfindung und Cloud-Fundamente – begleiten Organisationen strukturiert und sinnvoll in Ihren KI-Projekten.

Als junges, dynamisches Netzwerk bauen wir unsere Erfolgsgeschichte gemeinsam mit Kunden in Georgien, Deutschland und darüber hinaus auf. Unser Team bringt praktische Erfahrung in digitalen Projekten, SAP und KI sowie einen starken Fokus auf klare Kommunikation und messbare Ergebnisse mit. Ob Sie eine leistungsstarke digitale Präsenz benötigen oder Unterstützung bei der KI-Implementierung – Synora hilft Ihnen, den richtigen Startpunkt zu wählen und Schritt für Schritt zu wachsen.




## ერთი კომპანია. სამი მიმართულება. თქვენზე მორგებული სტრატეგია.

**Synora** არის ინოვაციური საკონსულტაციო კომპანია, რომელიც სპეციალიზდება სტარტაპების, მცირე და საშუალო ბიზნესების ციფრული ტრანსფორმაციის სფეროში. კომპანიის მომსახურება მოიცავს თანამედროვე ციფრული ბიზნესის (ვებსაიტების და ბრენდინგის) განვითარებას, ძლიერი IT ინფრასტრუქტურის შექმნასა და ხელოვნური ინტელექტის პრაქტიკულ დანერგვას.

ჩვენი გუნდი აერთიანებს ექსპერტებს ციფრული მარკეტინგის, ხელოვნური ინტელექტისა (AI) და ბიზნეს ინოვაციების სფეროებიდან, რომლებიც კომპანიებს აძლევენ სწორ მიმართულებებს ციფრულ სამყაროში, ოპერაციების ოპტიმიზაციასა და მდგრად განვითარებაში ინოვაციური და მასშტაბირებადი გადაწყვეტილებების მეშვეობით.

**Synora Digital** - ქმნის, ავითარებს და გიზიარებთ ეფექტიან ციფრულ გამოცდილებებს. ჩვენ ვამუშავებთ ვებსაიტებს, კონტენტსა და ციფრულ კამპანიებს, რომლებიც მარტივად გამოსაყენებელია, ადვილად მოსაძიებელი და სრულად შეესაბამება ბრენდის ფილოსოფიას. ჩვენი მომსახურება მოიცავს ვებდეველოპმენტს, SEO-ს, კონტენტის სტრატეგიასა და სოციალური მედიის მართვას - ყველაფერს, რაც აუცილებელია ორგანიზაციების ონლაინგანვითარებისათვის.

**Synora Enterprise** ხელს უწყობს მდგრადი ციფრული შესაძლებლობების განვითარებას. ჩვენ ვთანამშრომლობთ უნივერსიტეტებთან და კომპანიებთან SAP-ის, Workforce Development-ისა და ტრანსფორმაციული პროგრამების ფარგლებში, რომლებიც პროფესიონალების გადამზადებას უზრუნველყოფს Enterprise ტექნოლოგიების სფეროში და ამავდროულად აძლიერებს ადგილობრივ ეკოსისტემებსა და გლობალურ ბიზნეს-ქსელებს.

**Synora Labs** ხელოვნურ ინტელექტს გარდაქმნის რეალურ ბიზნეს ღირებულებად. ჩვენ ვაერთიანებთ სტრატეგიასა და პრაქტიკულ განხორციელებას - პროცესების ავტომატიზაციას, მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებსა და Cloud ინფრასტრუქტურას. ჩვენ კომპანიებს მხარს ვუჭერთ AI პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე.

ჩვენი ახალგაზრდა, მაგრამ სწრაფად მზარდი კომპანია, წარმატების ისტორიას აშენებს მომხმარებლებთან ერთად საქართველოში, გერმანიასა და მის ფარგლებს გარეთ. გჭირდებათ მაღალი ხარისხის ციფრული პრეზენტაცია ან მხარდაჭერა ხელოვნური ინტელექტის დანერგვაში? Synora დაგეხმარებათ სწორი საწყისი წერტილის განსაზღვრასა და თქვენი კომპანიის დინამიურ განვითარებაში.

## REGIONALE INITIATIVEN ZUR UNTERSTÜTZUNG VON UNTERNEHMEN BEI DER PROCREDIT BANK

Im Jahr 2025 hat die ProCredit Bank die gezielte Unterstützung regionaler Unternehmen zu einer ihrer zentralen strategischen Prioritäten erklärt. Mit einer Reihe wirkungsvoller Initiativen stärkte sie das lokale Unternehmertum und förderte nachhaltiges Wachstum in den Regionen Georgiens.

Ein wesentlicher strategischer Schritt war die Erweiterung der Zielgruppe durch den Einstieg in das Mikrosegment. Ziel ist es, Unternehmen bereits in frühen Entwicklungsphasen zu begleiten – insbesondere jene, für die qualifizierte Beratung, langfristige Partnerschaften und maßgeschneiderte Lösungen ebenso entscheidend sind wie der Zugang zu Finanzierungen.

Zur weiteren Stärkung der regionalen Präsenz baute die ProCredit Bank ihr Filialnetz gezielt aus. Die Eröffnung einer neuen Filiale in Telavi verbesserte den Zugang zu Bankdienstleistungen und Beratungsangeboten in der Region Kachetien deutlich. Gleichzeitig wurde die Filiale in Kutaisi umfassend modernisiert, erweitert und an neue Servicestandards angepasst, um Geschäftskunden ein noch effizienteres und angenehmeres Betreuungserlebnis zu bieten.

Ergänzend dazu organisierte die ProCredit Bank im Rahmen derselben Strategie eine Reihe regionaler Wirtschaftstreffen in Batumi, Kutaisi, Zugdidi und Telavi. Im Fokus standen regionale Herausforderungen, branchenspezifische Themen und konkrete Wachstumspotenziale lokaler Unternehmen. Die Veranstaltungen förderten den fachlichen Austausch, die Vernetzung sowie den Dialog zwischen Unternehmern. In Kooperation mit Forbes Georgia, VISA und dem Start-up Bureau nahmen mehr als 500 kleine Unternehmen teil. Die Treffen entwickelten sich zu einer wichtigen Plattform für Inspiration, neue Geschäftsperspektiven und nachhaltige Partnerschaften.

Parallel zur regionalen Vernetzung baute die ProCredit Bank ihr Angebot an diversifizierten Finanzierungslösungen für Mikro-, Klein- und Mittelunternehmen weiter aus. Damit unterstützte sie gezielt innovative Geschäftsideen, die wirtschaftliche Stärkung von Frauen sowie die Entwicklung nachhaltiger und zukunftsorientierter Geschäftsmodelle.

## პროკრედიტ ბანკის რეგიონული ბიზნესის მხარდამჭერი ინიციატივები

2025 წელს პროკრედიტ ბანკმა რეგიონული ბიზნესის მხარდაჭერა ერთერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრა და ადგილობრივი მეწარმეობის გაძლიერების მიზნით არაერთი ინიციატივა განახორციელა.

წლის ერთერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ნაბიჯი, ბიზნეს აუდიტორიის გაფართოება და მიკრო სეგმენტში შესვლა იყო, განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი კომპანიების მხარდასაჭერად. აღნიშნული მიმართულება ორიენტირებულია იმ ბიზნესებზე, რომლებისთვისაც ფინანსურ რესურსთან ერთად მნიშვნელოვანია პროფესიული კონსულტაცია და პარტნიორული მიდგომა.

რეგიონულ მცირე მეწარმეებთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით, პროკრედიტ ბანკმა გააძლიერა ფიზიკური წარმომადგენლობა რეგიონების მასშტაბით. თელავში ახალი ფილიალის გახსნით, ბანკმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კახეთის რეგიონში მომსახურების ხელმისაწვდომობა და საკონსულტაციო შესაძლებლობები. განახლდა, გაფართოვდა და ახალი სტანდარტებით მოეწყო ქუთაისის ფილიალიც, რაც ბიზნეს კლიენტებისთვის უფრო ეფექტიან და კომფორტულ მომსახურებას უზრუნველყოფს.

ამავე სტრატეგიის ფარგლებში დაიგეგმა რეგიონული ბიზნეს შეხვედრების სერია საქართველოს ოთხ ძირითად ქალაქში: ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და თელავში. ინიციატივის მიზანს წარმოადგენდა რეგიონზე მორგებული თემის ირგვლივ, ბიზნესების წინაშე არსებული გამოწვევებისა და განვითარების პოტენციალის განხილვა, გამოცდილების გაზიარება და პროფესიული დიალოგის გაღრმავება.

შეხვედრები Forbes Georgia-სთან, VISA-სა და Start up Bureau თანამშრომლობით განხორციელდა და 500-ზე მეტი მცირე ბიზნესისთვის ინსპირაციის, განვითარების ახალი ეტაპის და ღირებული პარტნიორული ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობად იქცა.

რეგიონული ბიზნესის გაძლიერებასთან ერთად, პროკრედიტ ბანკი განაგრძობდა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, მრავალმხრივი დაფინანსების შესაძლებლობების შეთავაზებას, ახალი ბიზნეს იდეების განხორციელების, ქალების ეკონომიკური გაძლიერებისა და მდგრადი ბიზნეს განვითარების მხარდასაჭერად.



PARAGRAPH
TBILISI

## EIN JAHR VOLLER ERLEBNISSE BEI PARAGRAPH HOTELS

Zum Jahresende nehmen wir uns Zeit, auf jene Momente zurückzublicken, die das Leben im Paragraph Freedom Square, a Luxury Collection Hotel, Tbilisi geprägt haben – einem Ort, der von Geschichte, Kultur und dem lebendigen Rhythmus der Stadt getragen wird.

Am ikonischen Freiheitsplatz gelegen, bezieht das Hotel seine Identität unmittelbar aus seinem Umfeld. Architektonische Feinheiten, sorgfältig kuratierte Kunstwerke und bewusst eingesetzte Designelemente greifen das reiche kulturelle Erbe Georgiens auf und verbinden es mit einem zeitgemäßen Anspruch. So entsteht ein unverwechselbares Ambiente, das gleichermaßen zeitlos wirkt und fest im Hier und Jetzt verankert ist.

Im Laufe des Jahres wurde das Haus zu einem Treffpunkt für Genuss und Begegnung. Gäste kamen im Gulama Restaurant, im Ostigan Restaurant, in der Talan Lobby Lounge, der Chinari Bar & Lounge sowie in der saisonalen Eary Rooftop Bar zusammen. Das Spektrum reichte von entspannten Frühstücksmomenten über fein abgestimmte Kulinarik bis hin zu Signature-Cocktails und eindrucksvollen Panoramablicken über die Stadt – jeder Ort mit seiner eigenen Atmosphäre, eingebettet in den Tagesrhythmus des Hotels.

Ein zentraler Bestandteil der Guest Experience war das Thema Wohlbefinden. Das Paragraph Spa, das sich über drei Etagen erstreckt, bot eine ruhige Rückzugsoase hoch über der Stadt. Mit dem ersten Hotel-Infinity-Pool Tbilisis, Innenpools, Saunen, Dampfbädern und regenerierenden Anwendungen entstand ein Ort, der zum Innehalten einlädt – zum Abschalten, Erholen und neuen Kraftschöpfen.

Der Blick nach vorn richtet sich über die Stadtgrenzen hinaus. Mit dem Paragraph Golf & Spa Tabori, Autograph Collection setzt sich die Geschichte von Paragraph an einem neuen Ort fort. Oberhalb von Tiflis entsteht eine naturgeprägte Destination, in der offene Landschaften, Ruhe und Weite den Rahmen für Wellness, Golf und bewusste Erholung bilden. Immersive Spa-Erlebnisse, landschaftlich eingebettete Pools und der championship-inspirierte Tabori Golf Club eröffnen eine neue Dimension des Paragraph-Erlebnisses – und schaffen inspirierende Perspektiven für das kommende Jahr.

## შთაბეჭდილებებით სავსე წელი პარაგრაფში

წლის დასასრულს, ყოველთვის ვიხსენებთ განვლილ გზასა და მომენტებს, რომლებმაც ეს გზა განაპირობა. პარაგრაფ თბილისი სავსეა ისტორიით, ქალაქის კულტურითა და რიტმით.

სიმბოლურ ადგილას, თავისუფლების მოედანზე მდებარე სასტუმრო, ძველი და ახალი თბილისის გზაჯვარედინზე იშლება. არქიტექტურული წიაღსვლები, ხელოვნების ნიმუშე-ბი, საგულდაგულოდ შემუშავებული დიზაინი საქართველოს მდიდარი მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის სინთეზია, რაც თითქოს დროში მოგზაურობის შეგრძნებას აღვიძებს.

წლის განმავლობაში სასტუმროს კედლებმა არაერთი მოგონება და შთაბეჭდილება დაიტია - გულამა, რესტორანი ოსტიგანი, ტალანი, ჩინარის ბარი და სეზონური ბარი ეარი. თითოეული ადგილი სტუმარს სხვადასხვა გამოცდილებას უზიარებდა - საუზმე მშვიდ გარემოში, საუცხოო სადილი, საავტორო კოქტეილები და ქალაქის პანორამული ხედები.

სტუმრისთვის საუკეთესო გამოცდილების შესაქმნელად სიჯანსაღე და განტვირთვა კვლავ პრიორიტეტული იყო. პარაგრაფ სპა, რომელიც ქალაქის თავზე, სასტუმროს სამ სართულზეა განლაგებული, თითოეული სტუმრისთვის მშვიდ ნავსაყუდელს წარმოადგენდა. აღმდგენ პროცედურებთან ერთად აქ სტუმრისთვის განკუთვნილია თბილისის მოწინავე ინფინიტი აუზი, დახურული აუზები, საუნები, ორთქლის აბაზანები და მოსასვენებელი სივრცეები.

პარაგრაფის გზა ქალაქის საზღვრებს გარეთაც გრძელდება. ბუნებით შთაგონებული, მთაზე მდებარე სასტუმრო პარაგრაფ თაბორი, სტუმრებს სრულიად განსხვავებულ გამოცდილებას სთავაზობს - აქ შეგიძლიათ აღმოაჩინოთ საუცხოო სპა პროცედურები, ღია სივრცეები, უმაღლესი კლასის გოლფ კლუბი და გოლფ აკადემია - ეს ყველაფერი უშრეტ საზღვრებს აფართოებს, რაც სამომავლოდ ახალ პარაგრაფს დაწერს.









## JEDEMINUTE SERVICE LLC – IHR PARTNER FÜR MEDIZINISCHE GERÄTE

Jedeminute Service LLC ist ein Serviceunternehmen mit Sitz in Tbilisi, Georgien. Wir unterstützen unsere Schwestergesellschaften in Deutschland, die mekontor GmbH & Co. KG und die jedeminute Akademie GmbH & Co. KG. mekontor ist Fachhandel und Servicedienstleister für Defibrillatoren und Notfallzubehör, die jedeminute Akademie bietet Erste-Hilfe- und Notfalltrainings an.

Die beiden Gesellschaften bedienen Kunden in allen Wirtschaftssektoren – von Behörden, Gesundheitseinrichtungen, Schulen, Kindergärten, Vereinen bis hin zu kleinen, mittelständischen und großen Unternehmen. „Jede Minute zählt in einem Notfall" – dieses Motto leitet unser tägliches Handeln.

Seit der Gründung hat Jedeminute Service LLC sein Leistungsspektrum kontinuierlich erweitert, darunter kaufmännische und Serviceaufgaben sowie IT-Dienstleistungen. **Seit 2023 ist unser Team gewachsen**, wodurch wir Kapazitäten und Servicequalität weiter ausbauen konnten.

Unsere Kunden profitieren von praxisnahen, standardisierten und individuell zugeschnittenen Lösungen:

- **Koordination von Einweisungen und Inbetriebnahmen:** Pflicht in Deutschland, damit lebensrettende Geräte im Notfall funktionieren.
- **Effiziente Gerätewartung:** Sicherstellung der Einsatzbereitschaft von Defibrillatoren und medizinischen Geräten.
- **Maßgeschneiderte Servicekonzepte:** Analyse der Kundenbedürfnisse und Erstellung individueller Wartungs- und Servicepläne.
- **Netzwerkbasierte Dienstleistungen:** Lieferung, Installation und Schulung des Personals durch unser Partnernetzwerk.

Die Unternehmenskultur von Jedeminute Service LLC basiert auf Werten, die unser tägliches Handeln prägen:

- Integrität, Transparenz und Fairness in allen Prozessen
- Kundenorientierung und partnerschaftliche Zusammenarbeit
- Innovation, Praxisnähe und kreative Problemlösungen
- Verantwortung für Mitarbeiterentwicklung, Umwelt und gesellschaftliches Engagement
- Kontinuierliche Optimierung von Prozessen und Dienstleistungen

Unser Engagement als verantwortungsbewusstes Unternehmen zeigt sich insbesondere in der stetigen Verbesserung unserer Standards, um höchste Qualität, Sicherheit und Kundenzufriedenheit zu gewährleisten.

**Weitere Informationen finden Sie auf unserer Webseite:** www.jedeminute.de

## შ.პ.ს. იედემინუტე სერვისი – თქვენი პარტნიორი სამედიცინო მოწყობილობების სფეროში

შ.პ.ს. იედემინუტე სერვისი გახლავთ საქართველოში, თბილისში არსებული კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს გერმანიაში მოღვაწე პარტნიორი კომპანიების მხარდაჭერას მომსახურების სფეროში.

mekontor GmbH & Co. KG არის დეფიბრილატორებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის მოწყობილობების სპეციალიზებული მიმწოდებელი კომპანია, რომელიც წლებია ბაზარზე ხარისხის ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. Jedeminute Akademie & Co. KG კი ახლახან, მიმდინარე წელს, დაარსდა და სთავაზობს პირველადი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის ტრენინგებს. ორივე კომპანია ემსახურება ეკონომიკური სექტორის ყველა მიმართულებას: სახელმწიფო დაწესებულებებს, სამედიცინო ორგანიზაციებს, სკოლებს, ბაღებს, სპორტულ კლუბებს, მცირე, საშუალო და დიდ საწარმოებს.

დაარსების დღიდან შ.პ.ს. იედემინუტე სერვისი მუდმივად აფართოებს საქმიანობის სპექტრს. ეს უმთავრესად მოიცავს კომერციულ და მომსახურების, ასევე IT სფეროს. **2023 წლიდან ჩვენი გუნდი სტაბილურად იზრდება**, რაც საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო გავაფართოვოთ შესაძლებლობები და გავაუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი.

ჩვენი კლიენტები სარგებლობენ როგორც სტანდარტული, ისე მათ საჭიროებებზე მორგებული, ინდივიდუალური სერვისებით:

- **მოწყობილობის გამოყენების ინსტრუქტაჟის კოორდინაცია,**
- **მოწყობილობების ეფექტურად გამოყენება,**
- **მომსახურების ინდივიდუალური კონცეფციები,**
- **ქსელზე დაფუძნებული მომსახურება.**

შ.პ.ს. იედემინუტე სერვისის კორპორაციული კულტურა ეყრდნობა ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს ჩვენს ყოველდღიურ მუშაობას:

- კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა და სამართლიანობა
- კლიენტზე ორიენტირებულობა და პარტნიორული დამოკიდებულება
- ინოვაცია, პრაქტიკულობა და პრობლემების კრეატიულად გადაჭრა
- თანამშრომლების განვითარების, გარემოსა და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობა
- პროცესებისა და მომსახურებების მუდმივი გაუმჯობესება

ჩვენი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება საქმისადმი განსაკუთრებით გამოიხატება სტანდარტების მუდმივ გაუმჯობესებაში, რაც უზრუნველყოფს უმაღლეს ხარისხს, უსაფრთხოებასა და კლიენტის სრულ კმაყოფილებას.

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე:** www.jedeminute.de

Seit 2018 ist **Metta** erfolgreich in der georgischen Bauindustrie tätig. Im Jahr 2025 blickte das Unternehmen auf sieben Jahre kontinuierlicher Entwicklung und erfolgreicher Marktpräsenz zurück. Trotz zahlreicher Herausforderungen – darunter auch die Auswirkungen der globalen Pandemie – ist es Metta gelungen, sich innerhalb kurzer Zeit als eines der führenden Bauunternehmen auf dem georgischen Markt zu etablieren.

Das Leistungsportfolio von Metta umfasst eine Vielzahl namhafter Auftraggeber sowie Projekte unterschiedlichster Art und Komplexität. Führende Entwickler wie Archi, Binadari, Lisi Development, IDEA und weitere große Marktteilnehmer vertrauen Metta die Umsetzung ihrer Vorzeigeprojekte an. Insgesamt verzeichnet das Unternehmen derzeit 35 abgeschlossene und 11 laufende multifunktionale Bauprojekte.

Zu den realisierten Vorhaben zählen unter anderem wasserbauliche Projekte wie die Wasserkraftwerke „Sashuala 1" und „Sashuala 2", sieben Filialen von McDonald's, die Norwegische Botschaft, eine Produktionsstätte von Bella Cakes sowie zahlreiche weitere anspruchsvolle Bauprojekte. Eine besondere Stellung nimmt die Orangerie von Château Mukhrani ein, die im Rahmen eines Design-&-Build-Vertrags umgesetzt wurde. Ebenso anspruchsvoll war die umfassende Renovierung der Tbilisi Mall, die innerhalb von nur sechs Monaten und bei laufendem Betrieb erfolgreich abgeschlossen werden konnte.

Darüber hinaus umfasst das Portfolio von Metta ein architektonisches Landmark-Projekt: einen von Ricardo Bofill entworfenen Wohnkomplex im Stadtteil Lisi. Insgesamt hat Metta bis heute Bau- und Renovierungsarbeiten mit einer Gesamtfläche von rund 1.000.000 Quadratmetern realisiert.

Mit einem konsequent detailorientierten Ansatz und einem klaren Fokus auf Weiterentwicklung integriert Metta moderne Systeme und innovative Technologien in sämtliche Bauprozesse. Durch Professionalität, Verlässlichkeit und strukturierte Abläufe baut das Unternehmen langfristige Partnerschaften mit Auftraggebern, Subunternehmern, Lieferanten und der Öffentlichkeit auf.

Das Jahr 2025 erwies sich insbesondere im zivilen und industriellen Bausektor als äußerst erfolgreich. Dies spiegelte sich in einem Wachstum von 30 % und einem Umsatz von 80 Millionen GEL wider. Für das kommende Jahr plant Metta eine verstärkte Beteiligung an staatlichen Bau- und Infrastrukturprojekten.

**Kontakt**
Sairme-Straße 55, 0160 Tiflis, Georgien
Tel.: +995 32 288 04 40
E-Mail: info@metta.ge

„**მეტტა**" აქტიურად საქმიანობს სამშენებლო ინდუსტრიაში 2018 წლიდან. 2025 წელს კომპანიამ სამშენებლო ბაზარზე წარმატებული მოღვაწეობის 7 წელი იზეიმა. მიუხედავად უამრავი გამოწვევებისა, მათ შორის მსოფლიო პანდემიისა, ამ მოკლე პერიოდში „მეტტამ" შეძლო თავის დამკვიდრება, როგორც ერთ-ერთმა მოწინავე კომპანიამ ქართულ სამშენებლო ბაზარზე.

„მეტტა"-ს პორტფელი შედგება მრავალი სახელოვანი ბრენდისა და სხვადასხვა პროფილის სამუშაოებისგან. „არქი, „ბინადარი", ლისი დეველოპმენტი, იდეა და სხვა მსხვილი დეველოპერული კომპანიები ანდობენ „მეტტა"-ს თავიანთ ფლაგმან პროექტებს. კომპანიის პორტფელში უკვე 35 დასრულებული და 11 მიმდინარე მრავალმხრივი სამშენებლო პროექტია, მათ შორის ჰიდროტექნიკური - ჰიდროელექტროსადგურები „საშუალა 1" და „საშუალა 2", მაკდონალდსის 7 ფილიალი, ნორვეგიის საელჩო, ბელას ტორტების საწარმო და სხვა... გამორჩეული ადგილი უკავია შატო მუხრანის ორანჟერეას, რომელიც შესრულდა დიზაინ ბილდ კონტრაქტის ქვეშ. ასევე დიდი გამოწვევა იყო თბილისი მოლის რენოვაცია, რომელიც დასრულდა 6 თვეში მოლის სრული დატვირთულობის პირობებში.

ჩამოთვლილი პროექტების გარდა „მეტტა"- ს პორტფელში ფიქსირდება საკვანძო (Landmark) პროექტი რიკარდო ბოფილის დიზაინით აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი ლისზე. დღევანდელი მონაცემებით „მეტტა"-ს შესრულებული აქვს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ჯამური მოცულობით 1 000 000 კვ.მ.

დეტალებზე ორიენტირებული მიდგომითა და განვითარებაზე ზრუნვით, „მეტტა" უზრუნველყოფს თანამედროვე სისტემებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრაციას სამშენებლო სფეროში. თანმიმდევრული მოქმედებებით და პროფესიონალიზმით, კომპანია ხანგრძლივ და საიმედო ურთიერთობებს აყალიბებს თავის კლიენტებთან, ქვეკონტრაქტორებთან, მომწოდებლებსა და საზოგადოებასთან.

2025 წელი განსაკუთრებით წარმატებული წელი იყო „მეტტა"-სთვის სამოქალაქო და ინდუსტრიული მიმართულებით რაც აისახა 30%-იან ზრდაში და მიაღწია 80000000 ლარს. მომავალი წლის გეგმა კი სახელმწიფო პროექტებში აქტიური მონაწილეობის მიღებაა.

**კონტაქტი**
საირმის ქუჩა 55, 0160 თბილისი,საქართველო,
ტელ: 032 288 04 40
ელ-ფოსტა: info@metta.ge



ტიფლისტექსი
TIFLISTEX

Seit acht Jahren positioniert sich die Sockenfabrik Tiflistex erfolgreich auf lokalen und internationalen Märkten.

Hinter dem Erfolg von Tiflistex steht ein hochqualifiziertes Team, das trotz fehlender lokaler Branchenerfahrung wertvolles Wissen von internationalen Partnern erworben und innovative Ansätze auf dem georgischen Markt etabliert hat. Die Fabrik ist mit 60 hochmodernen italienischen Maschinen ausgestattet und verfügt über eine jährliche Produktionskapazität von 3 Millionen Paar Socken.

Das Unternehmen zählt zu den kleinen und mittleren Unternehmen (KMU) und arbeitet vollständig nach europäischen Standards – insbesondere in den Bereichen Arbeitssicherheit, Umweltschutz, Qualitätsmanagement und sozialer Verantwortung.

Für die Produktion werden ausschließlich hochwertige Rohstoffe verwendet, die den strengen EU-Regulierungen für chemische Substanzen entsprechen. Dies wird durch das OEKO-TEX STANDARD-100-Zertifikat des deutschen Hohenstein Textilinstituts bestätigt. Dieses Zertifikat garantiert, dass keine chemischen Substanzen verwendet werden, die von der EU als gesundheitsschädlich oder verboten eingestuft sind. Darüber hinaus setzt Tiflistex auf umweltfreundliche Produktionsmethoden, die keinerlei schädliche Emissionen freisetzen und somit weder Mensch noch Umwelt belasten.

Hervorzuheben ist, dass das Unternehmen eine Solaranlage für den Eigenbedarf installiert hat. Die Anlage erstreckt sich über eine Fläche von 2.950 m² und hat eine Leistung von 450 Kilowatt pro Stunde, wodurch 75–80 % des Energieverbrauchs der Fabrik gedeckt werden.

Dank dieser Errungenschaften hat Tiflistex das Vertrauen internationaler Partner gewonnen und die Vorteile des DCFTA-Freihandelsabkommens optimal genutzt. Unter den Bedingungen des Freihandels exportiert das Unternehmen regelmäßig in verschiedene EU-Länder und darüber hinaus. Deutschland, Griechenland, Rumänien, Dänemark, Italien, Aserbaidschan – dies sind nur einige der Länder, in denen die Produkte von Tiflistex erhältlich sind.

Neben den internationalen Märkten ist das Unternehmen auch auf dem lokalen Markt aktiv. Tiflistex produziert branded Socken für zahlreiche georgische Unternehmen, Schulen, Hotels, Sportteams und Veranstaltungen. Darüber hinaus beliefert die Fabrik die größten Einzelhandelsketten Georgiens, darunter Carrefour.

Tiflistex arbeitet kontinuierlich daran, seine Kapazitäten und Dienstleistungen zu erweitern. Die zentralen Werte der Fabrik – hochwertige Produkte, Zuverlässigkeit und professioneller Service – spielen eine entscheidende Rolle bei der Erschließung neuer Märkte und sichern dem Unternehmen seinen nachhaltigen Erfolg.

უკვე 8 წელი შესრულდა, რაც წინდების მწარმოებელი ქარხანა ტიფლისტექსი აქტიურად პოზიციონირებს, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე.

წარმატების უკან ტიფლისტექსის მაღალკვალიფიციური გუნდი დგას, რომელმაც შეძლო და ქვეყანაში არარსებული პრაქტიკის მიუხედავად მიიღო ცოდნა საერთაშორისო პარტნიორებისგან და ქართულ ბაზარზე ინოვაცია დანერგა. საწარმო აღჭურვილია 60 მაღალტექნოლოგიური იტალიური დანადგარით და ქარხნის წლიური წარმადობა 3 მილიონ წყვილ წინდას შეადგენს.

ქარხანა მიეკუთვნება მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიას, რომელიც ფუნქციონირებს ევროპული სტანდარტების სრული დაცვით - შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, ხარისხის მენეჯმენტისა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით.

წარმოების პროცესში გამოიყენება უმაღლესი ხარისხის ნედლეული, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ევროკავშირში არსებული ქიმიური ნივთიერებების რეგულაციების სტანდარტებს, რასაც ასევე მოწმობს ის ფაქტი რომ საწარმოს გააჩნია გერმანული ჰოჰენშტაინის ტექსტილის ინსტიტუტის მიერ გაცემული OEKO-TEX STANDARD-100 სერთიფიკატი, რაც გულისხმობს, რომ პროდუქტში არ შედის არანაირი ქიმიური ნივთიერება, რომელიც ევროკავშირის მიერ დადგენილი რეგულაციებით აკრძალული და საზიანოა ადამიანის ჯანრმთელობისთვის. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ტიფლისტექსში წარმოების პროცესში არ გამოიფრქვევა არანაირი მავნე ნივთიერება, რომელიც ზიანს აყენებს გარემოს.

აღსანიშნავია, რომ საკუთარი მოხმარებისთვის კომპანიას მზის ელექტროსადგური აქვს დამონტაჟებული. მზის პანელები განთავსებულია 2950 მ² ფართობზე და ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე საათში 450 კილოვატია, რაც გამოიმუშავებს კომპანიის ენერგიის მოხმარების 75-80%-ს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტიფლისტექსმა შეძლო გამხდარიყო ღირსეული პარტნიორი, საერთაშორისო დამკვეთებისთვის და მაქსიმალურად გამოეყენებინა DCFTA-ს ფარგლებში მონიჭებული უპირატესობები, კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში კომპანია სისტემატიურად ახორციელებს ექსპორტს ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში და არამარტო.

გერმანია, საბერძნეთი, რუმინეთი, დანია, იტალია, აზერბაიჯანი ... ეს იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, სადაც ტიფლიქტექსში წარმოებული წინდები შეგხვდებათ.

გარდა საერთაშორისო ბაზრისა, საწარმო აქტიურად პოზიციონირებს ადგილობრივ ბაზარზეც. ტიფლისტექსში იქმნება ბრენდირებული წინდები ძალიან ბევრი ქართული კომპანიისთვის, სკოლებისთვის, სასტუმროებისთვის, სპორტული გუნდებისა და სხვადასხვა ღონისძიებებისთვის. ასევე, ტიფლისტექსის წინდებით მარაგდება უმსხვილესი ჰიპერმარკეტებისა და სუპერმარკეტების ქსელი კარფური.

კომპანია აქტიურად განაგრძობს მუშაობას შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე. ხარისხიანი პროდუქტის შეთავაზება, სანდოობა და მაღალპროფესიონალური მომსახურება ქარხნის მთავარი ღირებულება და უპირატესობაა, რაც საწარმოს მიერ ახალი ბაზრების ათვისებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს.

TBILISI PHILHARMONIC HOTEL
BY MERCURE

ibis STYLES





**Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel**

+995 32 244 77 77

+995 32 244 77 77

HC1N1@accor.com

philharmonicbymercure

Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel

Green Key

Eco-friendly
Certified by Green Key

10 Petre Melikishvili
0179 Tbilisi, Georgia

GPS: 41.707345, 44.784165

**ibis Styles Tbilisi Center**

+995 32 200 24 24

+995 32 200 25 25

HA413@accor.com

ibisstylestbilisicenter

ibis Styles Tbilisi Center

Green Key

Eco-friendly
Certified by Green Key

4 Galaktion Tabidze
0105 Tbilisi, Georgia

GPS: 41.692093, 44.801471





## ENTDECKEN SIE TIFLIS MIT ACCOR: ZWEI AUSSERGEWÖHNLICHE HOTELS IM HERZEN DER STADT

Im Jahr 2025 bereicherten das Tbilisi Philharmonic Hotel by Mercure und das ibis Styles Tbilisi Center weiterhin die Hotellandschaft der Hauptstadt mit neuen kulinarischen Konzepten und vielfältigen Gästeerlebnissen. Beliebte Menüs wie Fit, Saisonal und das neu eingeführte Business Lunch – jeweils inspiriert von den Aromen Georgiens – sowie spannende aktive Orientierungskurse (gastronomische Masterclasses), machten beide Hotels zu beliebten Reisezielen. Durch ihren Fokus auf erstklassigen Service, kreative Gastronomie und nachhaltige Betriebsführung, zertifiziert durch das „Green Key" Label, bleiben sie eine bevorzugte Wahl für Reisende, die Komfort, Kultur und ein authentisches Tiflis-Erlebnis suchen.

Das **Tbilisi Philharmonic Hotel by Mercure** verbindet historische Eleganz mit zeitgemäßer Gastfreundschaft. Eröffnet im September 2023, befindet es sich im ehemaligen Institut für Geschichte und Ethnografie, einem zwischen 1929 und 1930 errichteten Gebäudekomplex, der für seinen Mix verschiedener Architekturstile bekannt ist. Das Hotel liegt an der Petre-Melikishvili-Straße, direkt gegenüber der Philharmonie und nur wenige Gehminuten von der lebhaften Rustaveli-Allee mit ihren Cafés, Restaurants und vielfältigen Geschäften entfernt. Es bietet 120 stilvolle Zimmer, ein Fitnessstudio, das rund um die Uhr geöffnet ist, sowie das „Muse" Restaurant mit europäischer und georgischer Küche. Drei multifunktionale Tagungsräume mit moderner Technik machen das Hotel zu einer praktischen Wahl für geschäftliche Anlässe und private Veranstaltungen. Die Green-Key-Zertifizierung unterstreicht das Engagement des Hotels für nachhaltige und verantwortungsvolle Gastfreundschaft.

Im Herzen der Stadt bietet das **ibis Styles Tbilisi Center Hotel** 119 helle, farbenfrohe Zimmer, die auf Komfort und Entspannung ausgelegt sind. Das Roof top-Restaurant „Rum Roof Kitchen and Bar" – von TripAdvisor im Jahr 2025 als beste karibische Küche Tiflis ausgezeichnet – bietet ein besonderes kulinarisches Erlebnis mit beeindruckendem Blick über die Stadt. Das „Sibi" Restaurant im Erdgeschoss ist ein beliebter Ort für Business-Lunches, Kindergeburtstage und thematische Veranstaltungen und trägt zur lebendigen Atmosphäre des Hotels bei. Dank der unmittelbaren Nähe zum Freiheitsplatz gelangen Gäste schnell zu kulturellen Sehenswürdigkeiten, Einkaufsmöglichkeiten und Unterhaltungseinrichtungen. Auch dieses Hotel ist Green-Key-zertifiziert und bestätigt damit sein kontinuierliches Engagement für nachhaltige Hotelführung.

## აღმოაჩინეთ თბილისი ACCOR-თან ერთად: ორი გამორჩეული სასტუმრო ქალაქის გულში

2025 წელს *Tbilisi Philharmonic Hotel by Mercure* და *ibis Styles Tbilisi Center* აგრძელებენ დედაქალაქის სასტუმრო ინდუსტრიის გამდიდრებას ახალი კულინარიული კონცეფციებითა და სტუმრებისთვის მრავალფეროვანი გამოცდილების შეთავაზებით. პოპულარული Fit, Seasonal და ახლად დანერგილი Business Lunch მენიუები, რომლებიც შთაგონებულია ქართული გემოთი, ასევე მასტერკლასები და თემატური ღონისძიებები, ორივე სასტუმროს აქცევს დანიშნულების ადგილად. მაღალი ხარისხის მომსახურება, კრეატიული გასტრონომია და ნარჩენების შემცირებაზე ორიენტირებული ქმედებები, რომელთა დამადასტურებელიც არის Green Key-ის ეკოსერტიფიკატი, ამ სასტუმროებს საუკეთესო არჩევანად აქცევს იმ სტუმრებისთვის, ვინც კომფორტს, კულტურას და ავთენტურ თბილისურ გარემოს ეძებს.

**Tbilisi Philharmonic Hotel by Mercure** ისტორიულ ელეგანტურობას თანამედროვე სტუმართმასპინძლობასთან აერთიანებს. სასტუმრო 2023 წლის სექტემბერში გაიხსნა და განთავსებულია ისტორიულ შენობაში - ისტორიისა და ეთნოგრაფიის ყოფილი ინსტიტუტის ადგილას, რომელიც 1929–1930 წლებში აიგო და განსხვავებული არქიტექტურული სტილით გამოირჩევა. სასტუმრო მდებარეობს პეტრე მელიქიშვილის ქუჩაზე, პირდაპირ თბილისის ფილარმონიის მოპირდაპირედ და სულ რამდენიმე წუთის სავალზეა დაშორებული შოთა რუსთაველის გამზირიდან, სადაც უამრავი კაფე, რესტორანი და მაღაზიაა. სასტუმრო მოიცავს 120 სტილურ ნომერს, 24/7 მოქმედ ფიტნესცენტრს და *Muse Restaurant*-ს, რომელიც სტუმრებს ევროპულ და ქართულ კერძებს სთავაზობს. სამფუნქციური, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამი საკონფერენციო დარბაზი სასტუმროს მისაღებ ადგილად აქცევს როგორც საქმიანი, ისე პირადი ღონისძიებებისთვის. სასტუმროს Green Key სერტიფიცირება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ეკომეგობრულ მიდგომას.

ქალაქის გულში მდებარე **ibis Styles Tbilisi Center Hotel** სტუმრებს 119 ნათელ და ფერად ოთახს სთავაზობს, რომლებიც კომფორტსა და დასვენებისთვისაა შექმნილი. სასტუმროს სახურავზე განთავსებული *Rum Roof Kitchen and Bar* - TripAdvisor-ის მიერ 2025 წელს თბილისის საუკეთესო კარიბულ სამზარეულოდ წოდებული -სასტუმრო სტუმრებს ქალაქის მიმზიდველ ხედებთან ერთად გამორჩეულ კულინარიულ გამოცდილებას სთავაზობს. *Sibi Restaurant* პოპულარული ადგილია საქმიანი ლანჩებისთვის, ბავშვების დაბადების დღეებისთვის და თემატური ღონისძიებებისთვის, რაც სასტუმროს კიდევ უფრო სიცოცხლით სავსეს ხდის. სასტუმრო ხალხმრავალ თავისუფლების მოედანთან მდებარეობს, რაც სტუმრებს საშუალებას აძლევს ფეხით მარტივად მოიარონ კულტურული ღირსშესანიშნაობები, სავაჭრო უბნები და გასართობი სივრცეები. სასტუმროს **Green Key** სერტიფიკატი კი მის მდგრად და ეკოლოგიურად პასუხისმგებელ მიდგომას ადასტურებს.

# DIENSTLEISTUNGEN
# მომსახურებები

## DWV - DIENSTLEISTUNGEN
## WIE KÖNNEN WIR SIE UNTERSTÜTZEN?

Die DWV bietet Ihnen ein breites Serviceangebot. Neben den nachfolgend genannten Leistungen erstellen wir Ihnen je nach Ihren Bedürfnissen gerne auch individualisierte Angebote.

**Markterschließung**

- Marktstudien
- Adressrecherche
- Geschäftspartnertreffen
- Unternehmensgründung

**Personal und Fortbildung**

- Seminare / Trainings
  - In-House Seminare
- Personalsuche
  - Profilerstellung
  - Anzeigenschaltung
  - Auswertung
  - Persönliche Interviews
  - Bericht
  - Gemeinsame Interviews

**Büro-Services**

- Mitarbeiterzeitkontingent
- Geschäftspartner-Mailing
- Übersetzungsdienstleistungen
- Juristische Adresse

**Delegationen**

Messe Karlsruhe - EUROVINO, LEARNTEC
FRUIT LOGISTICA
Senior Expert Service (SES)
START.UP!GERMANY TOUR

## DWV-ს მომსახურება
## რას ვსაქმიანობთ?

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება გთავაზობთ მომსახურების ფართო სპექტრს. გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებებისა, ჩვენ გთავაზობთ თქვენზე მორგებულ ინდივიდუალურ მომსახურებებსაც.

**კონსულტაცია ბაზრის შესახებ**

- ბაზრის კვლევა
- მისამართების მოძიება
- ბიზნეს პარტნიორის მოძიება
- კომპანიის დარეგისტრირება

**პერსონალი და ტრენინგი**

- სემინარები / ტრენინგები
  - In-House სემინარები
- პერსონალის მოძიება
  - პროფილის შექმნა
  - განცხადების განთავსება
  - შეფასება
  - პერსონალური ინტერვიუ
  - დასკვნითი შედეგი
  - ერთობლივი ინტერვიუები

**საოფისე მომსახურება**

- დროებითი პერსონალი
- ბიზნეს მეილინგი
- მთარგმნელობითი მომსახურება
- სამისამართო მომსახურება

**დელეგაციები**

კარლსრუეს გამოფენა - EUROVINO, LEARNTEC
FRUIT LOGISTICA
სენიორ ექსპერტთა სერვისი (SES)
START.UP!GERMANY TOUR

# PUBLIKATIONEN

# პუბლიკაციები

## PUBLIKATIONEN DER DWV / DWV-ს პუბლიკაციები













**DWV-Newsletter - deutsch**

Monatliche Zusammenfassung der wichtigsten Meldungen aus Wirtschaft und Politik Georgiens in deutscher Sprache. Kostenloses Abonnement unter: newsletter@dwv.ge

**DWV-ს ბიულეტენი - გერმანულ ენაზე**

საქართველოს ეკონომიკასა და პოლიტიკაში თვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბების ყოველთვიური უსასყიდლო ბიზნეს ბიულეტენი გერმანულ ენაზე.

ბიულეტენის გამოსაწერად მოგვწერეთ: newsletter@dwv.ge

**DWV-Newsletter - georgisch**

Monatliche Zusammenfassung von Geschäftsanfragen deutscher Unternehmen sowie weiterer relevanter Wirtschaftsnews in georgischer Sprache. Kostenloses Abonnement unter: newsletter@dwv.ge

**DWV-ს ბიულეტენი - ქართულ ენაზე**

გერმანული კომპანიების ბიზნეს მოთხოვნებისა და სხვა მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების ყოველთვიური უსასყიდლო ბიზნეს ბიულეტენი ქართულ ენაზე.

პუბლიკაციის გამოსაწერად მოგვწერეთ: newsletter@dwv.ge

**DWV-Jahrbuch 2024**

Das DWV-Jahrbuch 2024 finden Sie auf unserer Home Page

**წლიური ანგარიში 2024**

წლიური ანგარიშის 2024 გამოცემა შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებ-გვერდზე.

**Grant Thornton: Die Rolle der Datenanalyse bei Geschäftsentscheidungen**

Die Publikation finden Sie auf unserer Home Page

**გრანთ თორნთონი: მონაცემთა ანალიტიკის როლი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებაში: ბაზრის მოთხოვნა და პერსპექტივები**

პუბლიკაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებ-გვერდზე.

Alle Publikationen finden Sie auf unserer Webseite: www.dwv.ge

ყველა პუბლიკაციის ნახვა შეგიძლიათ ჩვენს ვებ-გვერდზე: www.dwv.ge

# VERTRETUNGEN

# წარმომადგენლობები




START UP GERMANY TOUR

SENIOR EXPERT SERVICE SES
ZUKUNFT DURCH ERFAHRUNG

messe karlsruhe

EUROVINO Weinguide

LEARNTEC

FRUIT LOGISTICA

SENIOR
EXPERT
SERVICE

# SES

ZUKUNFT DURCH ERFAHRUNG



www.ses-bonn.de



## DWV– OFFIZIELLE VERTRETERIN DES SENIOR EXPERT SERVICE (SES) IN GEORGIEN

Der SES ist die führende deutsche Entsendeorganisation für ehrenamtliche Fach- und Führungskräfte im Ruhestand. Seit 1983 gibt der SES weltweit Hilfe zur Selbsthilfe – in allen Branchen und Sektoren.

Zurzeit stellen dem SES mehr als 13.000 Experten aus allen beruflichen Richtungen ihr Wissen und ihre Erfahrung zur Verfügung. Seit 1983 hat der SES über 60.000 ehrenamtliche Einsätze in 170 Ländern durchgeführt. Seit 1994 ist der SES auch in Georgien aktiv. Bis zum Jahr 2025 wurden landesweit 550 Experten-Einsätze erfolgreich durchgeführt. Dieses erfolgreiche Kooperationsmodell basiert auf Kostenteilung und wird vom Deutschen Bundesministerium für wirtschaftliche Zusammenarbeit und Entwicklung (BMZ) unterstützt.

### Der SES ist in Georgien über die DWV erreichbar

Seit Dezember 2013 ist die DWV die offizielle Repräsentantin des SES in Georgien und unterstützt Sie gerne bei der Vermittlung und Koordination von Experten-Einsätzen. Das Angebot des SES richtet sich sowohl an kleinere und mittelständische Unternehmen, öffentliche Verwaltungen, Kammern und Wirtschaftsverbände, soziale und medizinische Einrichtungen, als auch an Institutionen der Grund- und Berufsbildung in Georgien, die von der Erfahrung und der Expertise der ehrenamtlichen Senior Experten profitieren möchten.

Seit Beginn des TVET-Programms in Georgien wurden 95 SES-Projekte im Bildungsbereich, insbesondere in Berufsschulen, umgesetzt.

**Ihre Ansprechpartnerin:**

Maria Bregadze
maria.bregadze@dwv.ge

SENIOR EXPERT SERVICE SES
ZUKUNFT DURCH ERFAHRUNG

## DWV - SENIOR EXPERT SERVICE (SES)-ის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში

SES არის წამყვანი გერმანული ორგანიზაცია, რომელიც ეფუძნება პენსიაზე გასული სპეციალისტების ნებაყოფლობით საქმიანობას. 1983 წლიდან, SES-ის ორგანიზებით, სამრეწველო ყველა დარგის და სექტორის ექსპერტი იგზავნება უამრავ ქვეყანაში მსოფლიოს მასშტაბით.

ამჟამად, SES-ის ბაზაში რეგისტრირებულია 13.000-ზე მეტი ექსპერტი, რომლებიც მზად არიან თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ მათ, ვისაც ეს სჭირდება. 1983 წლიდან SES-მა 60.000-ზე მეტი პროექტი განახორციელა 170 ქვეყანაში. 1994 წლიდან SES-ი აქტიურ საქმიანობას ეწევა საქართველოშიც. 2025 წლის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით 550 წარმატებული პროექტი განხორციელდა. პროექტები ეფუძნება ხარჯების განაწილების პრინციპს, რაშიც ფინანსურ მონაწილეობას იღებს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ).

### სენიორ ექსპერტთა სერვისთან (SES) დაკავშირებაში DWV დაგეხმარებათ

2013 წლიდან, გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) არის SES-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. DWV ხელს უწყობს ქართულ კომპანიებს სასურველი ექსპერტების მოძიებასა და მოწვევაში.

SES დახმარებას სთავაზობს მცირე და საშუალო ბიზნესს, საჯარო ინსტიტუციებს, სავაჭრო პალატებსა და ბიზნეს ასოციაციებს, სოციალურ და სამედიცინო დაწესებულებებს, აგრეთვე საბაზო და პროფესიული გადამზადების კოლეჯებს საქართველოში, რომლებსაც სურთ ისარგებლონ პროფესიონალი ექსპერტების გამოცდილებით. გერმანელი სპეციალისტები, რომლებიც ქართულ კომპანიებსა და ორგანიზაციებს სტუმრობდნენ, წარმოადგენდნენ ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ადმინისტრაცია და საჯარო მმართველობა, ფინანსები, პროფესიული სწავლება, უმაღლესი განათლება, ტურიზმი და სხვა.

საქართველოში, დუალური სწავლების დანერგვის პროცესის დაწყებიდან, საგანმანათლებლო სექტორში, კერძოდ, პროფესიული განათლების კოლეჯებში, განხორციელდა 95 SES-პროექტი.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება ნებისმიერ დროს მზად არის, გაუწიოს კონსულტაცია გერმანელი ექსპერტების მოწვევით დაინტერესებულ კომპანიებსა და ორგანიზაციებს.

**საკონტაქტო პირი:**

მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge


START.UP!
GERMANY
TOUR
by DIHK | IHK | AHK


INNOVATION
ACROSS
EUROPE
02
5000,- EUR
JULY 3, 2025
01
7500,- EUR
JULY 3, 2025
03

START.UP! GERMANY TOUR

## DEUTSCHE WIRTSCHAFTSVEREINIGUNG 2025 ERNEUT PARTNER DER START.UP!GERMANY TOUR

Die Deutsche Wirtschaftsvereinigung (DWV) engagierte sich auch 2025 als Partner der START.UP!GERMANY TOUR, einem seit 2017 etablierten Format, das internationale Startups mit der deutschen Unternehmenslandschaft, insbesondere in Nordrhein-Westfalen (NRW), vernetzt. Seit fünf Jahren unterstützt die DWV georgische Startups bei der Teilnahme an dieser Veranstaltung. Dabei haben diese die Möglichkeit, ihre innovativen Produkte und Dienstleistungen im Rahmen von Pitch-Wettbewerben vorzustellen und mit potenziellen Geschäftspartnern und Investoren in Kontakt zu treten.

Die START.UP!GERMANY TOUR, organisiert von den Industrie- und Handelskammern des Ruhrgebiets, Düsseldorf und Köln, sowie dem Deutschen Industrie- und Handelskammertag (DIHK), hat sich zum Ziel gesetzt, internationale Startups mit potenziellen Partnern in Nordrhein-Westfalen zu vernetzen und ihnen wertvolle Einblicke und Vorzüge des Standorts NRW zu geben. Umgekehrt bietet sie ansässigen Unternehmen die Chance, neue Kooperationen mit internationalen Startups zu knüpfen. Die Tour 2025 fokussierte sich wie in den Vorjahren auf Zukunftsbranchen wie Green Tech, industrielle Lösungen und Biotechnologie.

Am 4. Juli trafen die 12 besten Unternehmen beim Finale der START.UP!GERMANY TOUR aufeinander - mit dabei das georgische Startup Agrometa-drone, das als eines von nur zwölf Finalisten aus ganz Europa ausgewählt wurde. Das junge Unternehmen präsentierte seine innovative Drohnentechnologie für die Landwirtschaft und nutzte die Gelegenheit, internationale Kontakte zu knüpfen. Mit seinem Service ermöglicht Agrometa-drone präzise Feldanalysen, nachhaltige Düngung sowie genaue Daten zu Bodenfeuchtigkeit und Erntezustand - für mehr Effizienz und bessere Erträge im Agrarsektor.

Die DWV spielt als Partner der START.UP!GERMANY TOUR eine zentrale Rolle, indem sie georgische Unternehmen unterstützt, ihre Innovationskraft vor einem internationalen Publikum zu präsentieren und die Potenziale des deutschen Marktes, insbesondere in NRW, zu erschließen.

Die somit geschaffene Plattform bietet sowohl den teilnehmenden Startups als auch deutschen Unternehmen zahlreiche Vorteile, indem sie grenzüberschreitende Kooperationen und die Vernetzung innerhalb der internationalen Startup-Szene fördert.

**Bitte wenden Sie sich an uns. Gerne unterstützen wir Sie bei der Teilnahme.**

**Ihre Ansprechpartnerin:**

Nino Tcheishvili
nino.tcheishvili@dwv.ge

## გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) START.UP!GERMANY TOUR 2025-ის ოფიციალური პარტნიორია საქართველოში

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების ხელშეწყობით, საქართველოს წელს მეხუთედ მიეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო START.UP!GERMANY TOUR 2025-ში. პროექტი 2017 წლიდან არსებობს და საერთაშორისო სტარტაპებს ერთმანეთთან აკავშირებს. DWV მხარს უჭერს ქართულ სტარტაპებს ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც მათ შესაძლებლობა ეძლევათ, წარადგინონ მათი ინოვაციური პროდუქტები და სერვისები.

START.UP!GERMANY TOUR ყოველწლიურად რურის სამრეწველო და სავაჭრო პალატის, დიუსელდორფისა და კიოლნის, ასევე გერმანიის სამრეწველო და სავაჭრო პალატების ასოციაცია (DIHK)-ს ორგანიზებით იმართება და ორ ძირითად მიზანს აერთიანებს: ერთის მხრივ, ნორდჰაინ-ვესტფალენის მიწაზე მომუშავე კომპანიებს ეძლევათ საშუალება მრავალი ინოვაციური Startup კომპანიები, რომლებიც ევროპიდან არიან წარმოდგენილნი, გაიცნონ და მათთან სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილონ. მეორეს მხრივ, Startup კომპანიებს საშუალება ეძლევათ გაიცნონ NRW-ს ადგილობრივი ბაზრის უპირატესობები.

2025 წლის START.UP!GERMANY TOUR ფოკუსირებული იყო ისეთ სამომავლო დარგებზე, როგორებიცაა: მწვანე ტექნოლოგიები, სამრეწველო გადაწყვეტები და ბიოტექნოლოგიების სფერო. პროგრამა მოიცავდა პიტჩინგებსა და ქსელური შეხვედრებს მსხვილ კომპანიებთან, რეგიონალური ინოვაციური ეკოსისტემის გაცნობითი ხასიათის ღონისძიებებს, კონტაქტების დამყარებას ინვესტორებთან, პარტნიორებთან და სხვა სტარტაპებთან.

ღონისძიების მთავარი მომენტი იყო ფინალური კვირის Pitch-შეჯიბრი გერმანიაში, რომელშიც 12-მა საუკეთესო ევროპულმა სტარტაპმა მიიღო მონაწილეობა. საქართველოს წარმოადგენდა ქართული სტარტაპი Agrometa-drone, რომელიც არის ინოვაციური აგროდრონების სერვისი და ფერმერებს სთავაზობს ახალ მდგრად ინდუსტრიულ სტანდარტს. აგროდრონების საშუალებით ხდება მიწების ეკოლოგიურად განაყოფიერება და დიაგნოზირება. ამ სერვისის საშუალებით ფერმერებს შესაძლებლობა ეძლევათ, მიიღონ დეტალური მონაცემები ნიადაგის ტენიანობის დონის, მოსავლის მდგომარეობის შესახებ, დაზოგონ დრო და გაზარდონ მოსავლიანობა.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროექტ START.UP!GERMANY TOUR-ის განხორციელებაში, მხარს უჭერს ქართულ კომპანიებს, საკუთარი ინოვაციური შესაძლებლობების საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე წარმოდგენასა და გერმანული, განსაკუთრებით კი NRW-ის ბაზრის პოტენციალის ათვისებაში.

ეს პლატფორმა ქმნის მრავალ შესაძლებლობას როგორც სტარტაპებისთვის, ასევე გერმანული კომპანიებისთვის და ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და სტარტაპების ქსელის განვითარებას.

**გთხოვთ, მოგვმართოთ, ჩვენ სიამოვნებით გაგიწევთ დახმარებას თქვენი მოთხოვნების შესაბამისად.**

**თქვენი საკონტაქტო პირი:**

ნინო ქეიშვილი
nino.tcheishvili@dwv.ge


EUROVINO
Fachmesse für Wein. Karlsruhe.




EUROVINO



messe karlsruhe

## IM JAHR 2024 WURDE DIE DWV OFFIZIELLE REPRÄSENTANTIN DER MESSE KARLSRUHE IN GEORGIEN, ARMENIEN UND ASERBAIDSCHAN.

Die Messe Karlsruhe zählt zu den führenden Veranstaltungszentren Deutschlands. In Rheinstetten gelegen, bietet sie mit 165.000 Quadratmetern Fläche ideale Bedingungen für große Messen, Kongresse und Events. Jährlich finden hier über 300 Veranstaltungen mit rund 800.000 Besuchern statt – darunter rund 40 Fachmessen.

Die Deutsche Wirtschaftsvereinigung übernahm im Jahr 2024 die offizielle Repräsentanz für zwei bedeutende Messen der Messe Karlsruhe im Kaukasus (Armenien, Georgien und Aserbaidschan):

**EUROVINO** - Die internationale Fachmesse für Wein fand am 9. und 10. März 2025 in Karlsruhe statt. Georgien war mit rund 15 kleinen Weingütern vertreten, die ihre Weine sowohl am georgischen Gemeinschaftsstand als auch in der Verkostungszone präsentierten. Die Teilnahme wurde von der Nationalen Weinagentur finanziell unterstützt.

Für die georgischen Winzer bot die Messe die Chance, sich über aktuelle Entwicklungen auf dem europäischen Weinmarkt zu informieren, Gespräche mit potenziellen Käufern zu führen und neue Kontakte zu Fachleuten aus ganz Deutschland zu knüpfen.

An der Ausstellung nahmen folgende Weingüter und Marken teil: Abkhazis Marani, Baadur 1933, Bimbili, Damiane, Telavi’s Old Wine Cellar, Koloti, Marani 1915, Ojaleshi, Sanavardo, Saniore, Sip by Sip, Château Alexandre und Shilduri.

Die **LEARNTEC**, Europas führende Messe für digitale Bildung, fand vom 6. bis 8. Mai 2025 statt. Sie richtete sich an Bildungseinrichtungen, IT-Experten, Unternehmen aus dem Bereich der digitalen Bildung sowie an Fachleute und Interessierte. Mit über 400 Ausstellern, mehr als 600 Referierenden und einem vielfältigen Kongressprogramm bot die Messe Einblicke in aktuelle Entwicklungen – von klassischen E-Learning-Tools bis hin zu KI-basierten Lernlösungen.




## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ 2024 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲙᲐᲠᲚᲡᲠᲣᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ (MESSE KARLSRUHE) ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲨᲘ.

მესე კარლსრუე არის წამყვანი საგამოფენო ცენტრი გერმანიაში. საგამოფენო კომპლექსი მოიცავს 165 000 კვადრატულ მეტრ ფართობს და ქმნის იდეალურ პირობებს მასშტაბური გამოფენების, კონგრესებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. ყოველწლიურად აქ ტარდება 300-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ღონისძიება, აქედან 40-მდე დარგობრივი გამოფენა, რომელსაც დაახლოებით 800 000 ვიზიტორი ესწრება.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) 2024 წლიდან მესე კარლსრუეს ორი მნიშვნელოვანი გამოფენის ოფიციალური წარმომადგენელია კავკასიის რეგიონში (სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი):

**EUROVINO** - 2025 წლის 9-10 მარტს, გერმანიაში, ქ. კარლსრუეში გაიმართა. გამოფენაზე, ქართულ სტენდსა და სადეგუსტაციო სივრცეში წარმოდგენილი იყო 15-მდე მცირე მარანი საქართველოდან.

ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ევროპული ბაზრის ტენდენციებს, საქმიანი საუბრები ეწარმოებინათ პოტენციურ შემსყიდველებთან, მჭიდრო კონტაქტები დაემყარებინათ ღვინის სფეროს წარმომადგენლებთან გერმანიის სხვადასხვა რეგიონიდან.

EUROVINO-ზე მცირე მარნების გამგზავრებას ფინანსურად ხელი შეუწყო ღვინის ეროვნულმა სააგენტომ.

გამოფენაში მონაწილეობდნენ: აფხაზას მარანი, ბაადურ 1933, ბიმბილი, დამიანე, თელავის ძველი მარანი, კოლოტი, მარანი 1915, ოჯალეში, სანავარდო, სანიორე, Sip by Sip, შატო ალექსანდრე, შილდური.

**LEARNTEC** - ევროპაში ციფრული განათლების მიმართულებით ყველაზე დიდი ღონისძიებაა, რომელიც 2025 წლის 6-8 მაისს, ქალაქ კარლსრუეში გაიმართა. გამოფენა განკუთვნილია საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, IT სპეციალისტებისთვის, კომპანიებისთვის ციფრული განათლების სფეროდან და ყველა იმ დაინტერესებული პირისთვის, ვისაც სურს გაეცნოს განათლების სფეროში არსებულ უახლეს ტექნოლოგიებსა და მეთოდებს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყვნენ 400-ზე მეტი ექსპონენტი და 600-ზე მეტი მომხსენებელი, რომლებიც სამი დღის განმავლობაში აზიარებდნენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას გამოფენების, ვორქშოფებისა და მრავალფეროვანი კონგრესის პროგრამის ფარგლებში.









LEARNTEC

messe karlsruhe

Ein besonderer Höhepunkt war die Verleihung des Innovationspreises für digitale Bildung, delina. Ausgezeichnet wurden zukunftsweisende Projekte aus den Bereichen Hochschule, Aus- und Weiterbildung, frühkindlicher Bildung sowie lebenslangem Lernen. Die prämierten Konzepte zeigten, wie digitale Technologien sinnvoll in den Lernalltag integriert werden können. Dank ihrer zentralen Lage ist die LEARNTEC die ideale Plattform für den Zugang zum deutschsprachigen Bildungsmarkt, Networking und digitale Bildung.

